www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2024/2025

28.02.2025
www.geostat.ge

28.02.2025

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2024/2025 სასწავლო წელი)

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 44 კერძო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 64 პროცენტი ქალაქ თბილისშია.

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს 54.2 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 30.5 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 23.7 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შემცირდა 0.2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა, 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №1

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული სტუდენტების რიცხოვნობა

(ათასი)



28.02.2025

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 187.8 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 5.6 პროცენტით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 57.7 პროცენტი, ხოლო კერძოში - 42.3 პროცენტი. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობიდან 52.8 პროცენტი ქალია, ხოლო 47.2 პროცენტი - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №2

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



28.02.2025

2024 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 29.6 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 12.4 პროცენტით მეტია. კურსდამთავრებულებიდან 60.2 პროცენტი არის ქალი, ხოლო 39.8 პროცენტი - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 28.0 პროცენტით აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №3

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა

(ათასი)



28.02.2025

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ 37.1 ათასი შეადგინა, რაც 20.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 11.5 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.0 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2024/2025 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2024-2025 სასწავლო წელი, კაცი)



28.02.2025

2024 წელს, უნივერსიტეტებში მიიღეს 700 დოქტორანტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 24.7 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, დოქტორანტების რიცხოვნობა 15.3 პროცენტითაა შემცირებული და 3 023-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2024 წელს.

ცხრილი №1

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2024 წელი)

	რიცხოვნობა (კაცი)	%
დოქტორანტები, სულ	**3 023**	**100.0**
მათ შორის:		
განათლება	83	2.7
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	557	18.4
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 296	42.9
მეცნიერება	400	13.2
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	179	5.9
სოფლის მეურნეობა	46	1.5
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	426	14.1
მომსახურება	36	1.2

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა 15.9 პროცენტით შემცირდა და 438 პირი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №5

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2024 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge